



N 8135/01
25/08/2020

8135-01-2-202008251706



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას

შპს "ვესტ ჯორჯიას"

მის: ქ. ზუგდიდი, სანკტ-პეტერბურგის ქ. N17

2020 წლის 20 აგვისტოს შპს "ვესტ ჯორჯიას" მიერ სამინისტროში წარმოდგენილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფელ ახალსოფელში ასფალტის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში. გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 10 სექტემბერს ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზოში (ღია სივრცეში). სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/27966>).

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და ვებგვერდზე, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ.: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადმოაგზავნოთ ფოტომასალის სახით. დანართის სახით, გიგზავნით ინფორმაციას აღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

